

შპს „მაიფონი“

205270473

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის უწყისი მაიფონი	
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	1
1. ზოგადი ინფორმაცია.....	1
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	2
3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3
4. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	3
5. ოპერაციები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან.....	7
6. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება.....	7
7. განმარტებითი შენიშვნები	7
8. საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები.....	10

შპს "მაიფონი"-სა და შპს "იუ თი ეს"-ის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 თანხები მოცემულია ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2022			
კონსოლიდირებული კონსოლიდირებული კონსოლიდირებული			
ბალანსი	2022	2021	2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები (კვეთის გარეშე)	333,156	332,818	328,315
აკუმულირებული კვეთა	(267,229)	(231,183)	(192,917)
არამატერიალური აქტივები ამორტიზაციის გარეშე	117,239	117,239	117,239
აკუმულირებული ამორტიზაცია	(115,334)	(102,581)	(89,828)
გაცემული გრძელვადიანი სესხი	-	-	-
გრძელვადიანი ინვესტიციები	-	-	-
გუდუილი	93,984	93,984	93,984
სულ გრძელვადიანი აქტივები	161,817	210,278	256,794
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	138,033	1,135,545	1,272,950
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	458,834	446,425	715,996
მოთხოვნები გაცემული სესხიდან	12,000	25,000	25,000
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	936,507	249,766	103,994
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	3,078	1,620	-
გადახდილი დღგ და სხვა გადასახადები	75,345	98,622	84,407
საეჭვო მოთხოვნები	58,261	58,261	58,261
ფული საღაროში	-	-	17,330
ფული რეზიდენტ ბანკებში საგარანტიო თანხის ჩათვლით	492,342	260,109	192,818
წინასწარ გაწეული ხარჯები	21,500	21,432	40,897
მისაღები პროცენტები	360	360	360
სულ მიმდინარე აქტივები	2,196,260	2,297,139	2,512,013
სულ აქტივები	2,358,077	2,507,417	2,768,807
საკუთარიკაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	28,636	28,636	140,813
2017.01.01 მდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება	-	-	-
წინა წლების გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	1,385,708	1,309,288	1,097,033
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	996,783	807,545	380,655
დოვიდენდის გაცემა	(902,936)	(731,125)	(168,399)
გადაფასების რეზერვი	-	-	-
სხვა რეზერვები და დაფინანსება	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	1,508,191	1,414,343	1,450,101
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
გადასახდილი დღგ და მოგების გადასახადები+დასაბეგრი ხარჯები	87,263	78,885	34,923
გადასახდელი აქციზი	691	584	428
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	117,564	97,246	118,739
საგადასახადო ვალდებულებები	119	261	(39)
მიმდინარე საპენსიო გადასახადი	-	(75)	1,015
მიმდინარე მოგების გადასახადი	-	-	-
გადასახდელი ხელფასები	638	-	2,584
გადასახდელი პროცენტები	-	-	7,076
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	231	231	301
მიღებული ავანსები	-	-	-
მოკლევადიანი სესხები	643,379	915,942	1,153,680
სულ მიმდინარე ვალდებულებები	849,886	1,093,074	1,318,706
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული მოგების გადასახადი	-	-	-
სულ ვალდებულებები	849,886	1,093,074	1,318,706
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	2,358,077	2,507,417	2,768,807

2022		
კონსოლიდირებული კონსოლიდირებული		
მოგება - ზარალის უწყისი	2022	2021
შემოსავალი საუბრებიდან	605,036	627,234
შემოსავალი ურთიერთნარკვეთიდან	1,392,575	1,228,318
გაფართოებული ურთიერთნარკვეთი (ინტერნეტ კავშირი)	5,400	5,400
ნომრის რეალიზაცია	14,009	19,617
ბონუს რეალიზაციიდან	-	138,417
შემოსავალი აპარატურის რეალიზაციიდან	-	-
შემოსავალი საბონუსერო გადასახადიდან	31,216	31,965
სხვა შემოსავალი	1,223,407	254,854
შემოსავალი სხვა მომსახურებიდან	-	36,131

გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა		
სულ შემოსავალი	3,308,525	2,341,936
იუთიესის რაზი	10,616	16,071
კომუნიკაციის ხარჯები	43,049	56,415
ურთიერთსართვის ხარჯი	268,023	176,725
ინტერნეტ ურთიერთსართვა	5,150	5,350
აგრეგატორები	122,608	130,908
მარეგულირებელი კომისიის ხარჯი	17,169	15,387
ნუმერაციის რესურსთუ ხარგებლობის საფასური	8,130	4,236
IP მისამართების ხარჯი	3,091	4,204
გაყიდული/შეძენილი საქონელი	1,025,797	26,280
საქონლის უკან დაბრუნება	-	-
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	1,503,634	435,576
საერთო მოგება	1,804,891	1,906,360
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		
მშრომის ანაზღაურება	527,057	476,612
ბონუსი	-	-
პენსია	10,213	9,281
გაყიდული ბინის თვითღირებულება	-	187,301
ოფისის იჯარა 7420	33,750	28,756
რეკლამის ხარჯები	2,000	2,616
სერვერების განთავსების ხარჯი	-	-
დომენები	-	-
ვებ გვერდის ხარჯი	-	-
მოსტინგი, კოდეკაცია	864	969
ლიცენზიის ხარჯი	-	-
სხვა ბანკის საკომისიო ხარჯი	4,645	3,625
ლიბერთი ბანკის საკომისიო ხარჯი	399	404
eMoney sakomisio	22	86
Pay.ge sakomisio	0	3
PayPal sakomisio	1,709	2,482
კომუნიკაციის ხარჯები	-	-
სატელეფონო ხარჯი	-	-
ფინანსური მომსახურების ხარჯი	-	-
საოფისე ინვენტარი	-	-
გადახდის აპარატებით მომსახურების საკომისიო	(261)	147
საკანცელარიო საქონლის ხარჯები	-	-
კომუნალური ხარჯი	2,365	23
ქონების გადასახადი	557	837
სხვა საგადასახო ხარჯი	-	-
აგრომანქანის იჯარა	-	514
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	117	122
კომპიუტერის ხარჯი	1,000	-
კონსულტაციის ხარჯი	1,171	22,411
წარმომადგენლობითი ხარჯი	79	21
გარანტიის საკომისიო	-	-
ცეკუთა	48,799	51,019
დაზღვევა	13,543	15,354
ფირმის სხვა ხარჯი	5,777	15,030
შენეგმენტის გადასახადი	-	-
აუდიტის ხარჯი	-	-
მივლინების ხარჯი	-	-
გამოუქმთვადი ხარჯი	128	708
განსაკუთრებული ხარჯები ბონუს საუბრები	29,439	14,444
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	203	-
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	683,578	832,765
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,187,212	1,268,341
შედგვი საოპერაციო საქმიანობიდან	1,121,313	1,073,596
მიღებული დივიდენდები	-	-
საპროცენტო შემოსავლები ლიბერთი	5,547	8,148
საპროცენტო შემოსავლები	-	-
საპროცენტო შემოსავლები ბანკი	-	-
საკურსო სხვაობა მოგება	172,135	138,802
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	-	7,825
არასაოპერაციო შემოსავლები	177,682	154,775
საპროცენტო ხარჯები	46,300	45,799
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	79,608	88,997
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ზარალი	-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	23	-
განსაკ ხარჯები	-	(18)
ბონუს საუბრები	-	139,417
ჯარიმა და საურავი	-	-
სხვა ხარჯები აგრეგატორები	-	-
არასაოპერაციო ხარჯები	125,931	274,195

მოგება დაბეგვრამდე	1,173,064	954,176
მოგების გადასახადი	176,281	146,631
წმინდა მოგება/ზარალი	996,783	807,545

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 2022წ 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საკუთარი კაპიტალი	31.12.2022	31.12.2021
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში კაპიტალი)	28,636	28,636
საემისიო კაპიტალი	0	0
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	2,382,491	2,116,833
გადაფასების რეზერვი	0	0
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდები	-902,936	-731,125
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	1,508,191	1,414,344
არამაკონტროლებელი წილი	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1,508,191	1,414,344

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „მაიფონი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2009 წლის 12 იანვარს. კომპანიის წილის მფლობელები 2022 წლის 31 დეკემბრისათვის არიან :

მესაკუთრე	პირადი ნომერი	წილის მმართველი
ანზორ ბუბუტიშვილი	01024027847	55%
დავით მიქაძე	01017014112	45%

კომპანია „მაიფონი“ არის ფიქსირებული ქსელის ოპერატორი და ეწევა სატელეკომუნიკაციო მომსახურებას, კერძოდ მომხმარებელს სთავაზობს ზარების განხორციელებას საქართველოში და საზღვარგარეთ. მაიფონი იყენებს VOIP ტექნოლოგიას, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს ინტერნეტის საშუალებით, კომპიუტერის ან მობილური აპლიკაციების მეშვეობით გამოიყენოს საქართველოს სატელეფონო ნომერი და განახორციელოს ან მიიღოს ზარები მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. გარდა ამისა კომპანია დაკავებულია კომერციული და სამეწარმეო ორგანიზაციის საქმიანობით – ყიდულობს და ყიდის ტელესაკომუნიკაციო მატერიალურ საქონლს.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, პ. ქავთარაძის ქ., N20დ, სართული 5, ბ. 13.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 2022 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე. კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის უწყისს, სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და კაპიტალის ცვლილების ანგარიშს. არ წარადგენს ქემის მოძრაობის ანგარიშგებას.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით საწარმო მოახდენს აქტივების რეალიზებას და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

საქმიანობის უწყვეტობა

შპს მაიფონი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კოვიდ 19-ის გავლენის შედეგად მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში სხვადასხვა ინდუსტრია გამოწვევების და სირთულეების წინაშე დადგა. შპს მაიფონმა არსებულ ვითარებაში შეაფასა მომავალი გეგმები და ხელმძღვანელობის შეფასებით არსებობს საკმარისი რწმუნება იმის შესახებ, რომ კომპანია ფუნქციონირებას განაგრძობს მომავალ პერიოდშიც.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

წარდგენილი ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
1 აშშ დოლარი/ლარი	2.7020	3.0976
1 ევრო/ლარი	2.8844	3.5040

3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შპს მაიფონი შემოსავლის ძირითად ნაწილს იღებს ტელესაკომუნიკაციო მომსახურებიდან, აგრეთვე საცალო ვაჭრობიდან ტელესაკომუნიკაციო სასაქონლო მატერიალური საქონლით, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა სდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

4. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მომწოდებლის მიმართ წარმოიშობება ამ უკანასკნელის მიერ საქონლის და/ან მომსახურების მოწოდების შემდეგ, რომელსაც საპროცენტოსარგებელი არ ერიცხება და აღირიცხება გარიგების ფასით.

აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება.

შპს მაიფონი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა. ძირითადი საშუალებების ჩამოწრა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით:

კომპიუტერები	20%
ავეჯი ოფისისათვის	20%
მსუბუქი ავტომობილები	20%
მანქანა დანადგარები	8%
არამატერიალური აქტივები	15%

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდოდ ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს შემენილ პროგრამულ უზრუნველყოფებს, მიღებულ სავაჭრო ნიშნებს და პატენტებს.

არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება წრფივი მეთოდით დარიცხული ცვეთა სასარგებლო ექსპუატაციის ვადის პროპორციულად.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესამენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საკუთარი კაპიტალი განისაზღვრება შპს მაიფონის წესდებით. შპს მაიფონის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საკუთარი კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საკუთარი კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლილების შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოდგენილია მათი გადახდის იურიდიული მოვლეობა. დივიდენდი აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

სესხები

სასესხო აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, ხოლო შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აღირიცხება, როგორც ფინანსური შემოსავალი/ხარჯი.

მოკლევადიან სესხებად კლასიფიცირდება მოთხოვნამდე სესხები ან სესხები, რომლის დაფარვის უპირობო ვალდებულება არაუმეტეს 12 თვეა, ხოლო გრძელვადიან სესხებად კლასიფიცირდება ის სესხები, რომლის დაფარვის ვალდებულება 12 თვეს აჭარბებს.

იჯარა

კომპანიას არ გააჩნია ფინანსური იჯარის ოპერაციები, ხოლო ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში არსებული საიჯარო გადასახდელები აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში

ამონაგების აღიარება

საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები აღიარდება მყიდველისთვის საქონლის მიწოდების და საკუთრების უფლების გადაცემის შემდეგ, ხოლო მომსახურების გაწევიდან ამონაგები აღიარდება მომსახურების გაწევის შემდეგ, თუკი მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

ამონაგების აღიარება ხდება უკვე მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დღგ-ს გარეშე.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

5. ოპერაციები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

6. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

7. განმარტებითი შენიშვნები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტი

	31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	0	0
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	171,185	191,963
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	300,196	21,779
უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში	20,961	46,367
სულ	492,342	260,109

მარაგები

	31.12.2022	31.12.2021
რეალიზაციისთვის განკუთვნილი საქონელი	138,033	1,135,545
სულ	138,033	1,135,545

ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერები	ავეჯი	ავტომობილები	მანქანა-დანადგარ.	სხვა	სულ
საწყისი ნაშთი, 31.12.2021	70,026	1,054	7,862	8,420	14,274	101,636
შემოსვლა	338	0	0	0	0	338
გასვლა	0	0	0	0	0	0
ცვლათა პერიოდის განმავლობაში	28,549	313	2,958	1,371	2,855	36,046
საბოლოო ნაშთი, 31.12.2022	41,815	741	4,904	7,049	11,419	65,928

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები

საწყისი ნაშთი, 31.12.2021	14,658
შემოსვლა	0
გასვლა	0
ცვლათა პერიოდის განმავლობაში	12,753
საბოლოო ნაშთი, 31.12.2022	1,905

ამონაგები

	2022 წ	2021 წ
საქონელის რეალიზაციიდან	50,892	55,749
მომსახურების გაწევიდან	3,257,633	2,286,187
სულ	3,308,525	2,341,936

სავაჭრო მოთხოვნები

	31.12.2022 წ	31.12.2021 წ
სავაჭრო მოთხოვნები	517,095	504,686
სულ	517,095	504,686

გადახდილი ავანსები

	31.12.2022 წ	31.12.2021 წ
შემოსავლების სამსახურში გადახდილი	96,845	120,054
მომწოდებლებზე გადახდილი	936,507	249,766
მომსახურე პერსონალზე გადახდილი	3,078	1,620
სულ	1,036,430	371,440

მიღებული გრძელვადიანი სესხები

	31.12.2022 წ	31.12.2021 წ
საქართველოს ბანკი	643,379	915,942
სულ	643,379	915,942

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.2022წ	31.12.2021წ
ვალდებულება პერსონალის წინაშე	869	231
სავაჭრო ვალდებულებები	117,564	97,246
საგადასახადო ვალდებულებები	88,074	79,655

8. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ კომპანიისთვის მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.